



კოლქეტი ბარაკონი

1992 წლიდან

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ბარაკონის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის პირობებს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - შპს ბარაკონი;

ბ) არაფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას;

გ) დიპლომი - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

ე) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ვ) ინკლუზიური პროფესიული განათლება – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღება;

ზ) კვალიფიკაცია – დაწესებულების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

თ) კომპეტენცია – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

ი) კრედიტი – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

კ) მოდული – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

ლ) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

მ) მსმენელი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ნ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;

ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის/საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

პ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში);

ჟ) პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;

რ) პროფესიული სტუდენტის მობილობა - პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;

ს) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

ტ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

უ) სერტიფიკატი - კოლეჯის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

ფ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და, რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

ქ) ფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას.

თავი II – პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები

1. კოლეჯი მიღებას აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულების საერთო კვოტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არსებული კვოტის გათვალისწინებით.
2. პირს, რომელსაც აქვს საბაზო, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/წ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები"-ს შესაბამისად.
4. დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ არეგულირებს კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შიდა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს, რომელთა მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური, გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
5. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარებას ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/წ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მონაცემები, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ, შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
 - გ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა;
 - დ) ობიექტური გარემოების არსებობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში;
 - ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
3. ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია წერილობითი განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და ითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება კონკრეტული ვადით.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ აღემატება 3 წელს.
5. თუ განცხადება არ შეიცავს სტატუსის შეჩერების ვადას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების ვადას წყვეტს კოლეჯის დირექტორი.
6. სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს უნარჩუნდება მის მიერ დაგროვებული კრედიტები/დადასტურებული სწავლის შედეგები.
7. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
8. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.
9. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა სტატუსშეჩერებულ პირად.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმავე პროფესიული (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ამისთვის, პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯს, ან მის უფლებამონაცვლეს და ითხოვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნარჩუნდება გავლილი კრედიტები/ დადასტურებული სწავლის შედეგები და გადახდილი სწავლის საფასური.
4. სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტი იხდის სწავლის იმ საფასურს, რომელიც დადგენილია სტატუსის აღდგენის მომენტისთვის.
5. თუკი პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენა ხორციელდება ისეთ პერიოდში, როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.
6. თუ პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. როდესაც პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება კრედიტების სრულყოფილად ათვისება, კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
8. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
 - ბ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მიანიჭებიდან ორი კვირის ვადაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი სასწავლო წლის

არმოთხოვნა;

გ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

დ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა, თუ არ მოხდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 40%-ის ან მეტის აუთვისებლობა;

ზ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

თ) მოდულის „ქართული ენა A2“ ან მოდულის „ქართული ენა B1“ დაუდასტურებლობა;

ი) დამატებითი სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულ ვადებში კვალიფიკაციის არმინიჭება;

კ) კოლეჯის სასწავლო შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევა;

ლ) კვალიფიკაციის მინიჭების გადავადებიდან 1 თვიანი ვადის გასვლა;

მ) საკვალიფიკაციო გამოცდაზე ორჯერ უარყოფითი შეფასების მიღება;

ნ) გარდაცვალება;

ო) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

3. სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება და ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი დაწესებულებიდან იღებს თავის პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას.

6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მობილობა (შიდა და გარე მობილობა)

1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების) პროფესიული სტუდენტი.

2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

3. მობილობა შეიძლება განხორციელდეს ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

4. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.
5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით.
6. შიდა მობილობა გულისხმობს კოლეჯის შიგნით ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლას.
7. შიდა მობილობა დასაშვებია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მომენტიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო პროგრამის გაუქმების ან პროგრამის შეცვლის შემთხვევაში - ნებისმიერ დროს. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, იღებს კოლეჯის დირექტორი.
8. კოლეჯში შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ერთი და იმავე პროგრამის ფარგლებში, თუ შეიცვალა პროგრამა და მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე მობილობა აუმაღლებს პროფესიული სტუდენტის მდგომარეობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯი.
9. შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს დირექტორს, სადაც მიუთითებს, თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა შიდა მობილობის წესით.
10. დირექტორის მოადგილისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა აღიარებული კრედიტების მითითებით ან/და სწავლის შედეგები.
11. თავსებადობის შესახებ ანგარიში წარედგინება დირექტორს და ასევე, ინფორმაცია მიეწოდება პროფესიულ სტუდენტს.
12. დადებითი შეფასების შემთხვევაში, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება პროფესიული სტუდენტის შიდა მობილობის შესახებ. აქტში მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა და/ან სწავლის შედეგები.
13. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება პროფესიული სტუდენტის შიდა მობილობაზე უარის თქმის შესახებ.
14. მობილობის გზით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული დირექტორის ბრძანების მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში, სადაც შემდგომ სტატუსი „მობილობით გადასული“ იცვლება „პროფესიული სტუდენტი“-ს სტატუსით. ამის შემდეგ, შიდა მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საიდანაც ის გადადის.
15. გარე მობილობა გულისხმობს პროფესიულ სტუდენტის გადმოსვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ან კოლეჯის პროფესიული სტუდენტის გადასვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
16. გარე მობილობის სურვილის შემთხვევაში, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის გადასვლას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რისთვისაც პროფესიულ სტუდენტს აძლევს პირადი საქმის ასლს და/ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას.
17. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით შემოსული ელექტრონული განაცხადის საფუძველზე, კოლეჯი ადასტურებს მობილობას და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასულ პროფესიულ სტუდენტს, დირექტორის ბრძანებით უწყვეტს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.

18. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით გადმოსვლის/ჩარიცხვის მსურველი პროფესიული სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში წარადგინოს განცხადება მობილობის შესახებ, რომელსაც თან ურთავს აუცილებელ წარსადგენ დოკუმენტაციას. აუცილებელ წარსადგენ დოკუმენტაციად მიიჩნევა მობილობის მსურველი პირის პირადი საქმე და მის მიერ გავლილი მოდულების, ან ცალკეული სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში, მობილობის მსურველი პირის მიერ დამატებით წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა, ასევე თუ მობილობის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დადგენილ წინაპირობებს, ან აჭარბებს შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, შესაძლებელია გახდეს პირისთვის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

19. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვის მიზნით, მიმღები კომისია განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს დირექტორს პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ. მიმღები კომისიის მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და კოლეჯის პროგრამის თავსებადობა შესაბამისი კრედიტების აღიარებით.

20. საბოლოო გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ, იღებს დირექტორი.

21. მობილობისას, მოდულის სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, ხოლო ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ. შესაძლებელია კოლეჯის მიერ დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისობა მათ დასახელებაში არსებული სხვაობის მიუხედავად.

22. აღიარებას ექვემდებარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

23. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება.

24. მობილობით ჩარიცხული პირისათვის, საჭიროების შემთხვევაში, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა.

25. ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.

26. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

- ა) ჯგუფში არის პროფესიულ სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და კოლეჯს არ ჰყავს ამავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სხვა ჯგუფი;
- ბ) გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 8 . დამატებითი სასწავლო წელი

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა პროგრამის შესაბამისი კრედიტები და არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება აქვს დაასრულოს პროგრამა მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში, რა მიზნითაც ამ პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭებიდან ორი კვირის ვადაში განცხადებით მიმართავს კოლეჯს.
2. დამატებითი სასწავლო წლის პროფესიულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლი მოდულების კრედიტების მოცულობის შესაბამისად.
3. დამატებით სასწავლო წელს, სწავლის საფასური განისაზღვრება განფასებული მოდულ(ებ)ის მიხედვით.
4. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც დამატებითი სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტებს, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

თავი III – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას კოლეჯში არსებულ თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
3. თუ კოლეჯში არ ხორციელდება გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში, ადასტურებს პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის პერიოდში, ცალკეულ მოდულებში/სწავლის შედეგებში მიღებულ კრედიტებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გარე მობილობით გადასვლას.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პროგრამა დაასრულონ მიღწევად რეჟიმში.

თავი IV – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

მუხლი 10. სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.
3. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.
4. კოლეჯში დაწესებულია ექვსდღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კვირა, როგორც სასწავლო/სამუშაო დღე.
5. ლექციის ხანგრძლივობაა ერთი ასტრონომიული საათი (აკადემიური საათი - 50 წუთი, ლექციებს შორის პერიოდში შესვენება - 10 წუთი).
6. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.
7. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) მოდულის დასახელება;
 - ბ) ლექციის დაწყების დრო და ხანგრძლივობა.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
9. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების, კვალიფიკაციის, კრედიტის და ხანგრძლივობის შეცვლისას კოლეჯი მოიპოვებს შესაბამისი პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა თანხმობას.
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს შესაძლებელია

გამოყენებული იყოს ელექტრონული სწავლების კომპონენტი.

12. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით, რაც „ელექტრონული სწავლების წესი“-ს შესაბამისად რეგულირდება.

13. სწავლების ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებზე გასვლა.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით განმარტების წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტითა და მოდულებით.

2. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში.

6. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად - ერთი ინსტრუმენტით.

7. შეფასების ინსტრუმენტი მუშავდება „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცია“-ის შესაბამისად და მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ, ვალიდაციის მიზნით თანხმდება სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან, რომლებიც წარმოადგენენ შიდა შემმოწმებლებს.

8. მოდულის განმახორციელებელი ან პროგრამის კოორდინატორი, სწავლის შედეგების დადასტურებამდე, მოდულის განმახორციელებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ/დარგობრივ თავსებადობას, ხოლო დირექტორის მოადგილე - სტრუქტურულ/მეთოდოლოგიურ თავსებადობას.

9. ხარვეზების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტი უზრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით, რომელიც ვალდებულია მაქსიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში შესწორებული სახით წარუდგინოს ის შიდა შემმოწმებელს.
10. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება შეფასების პროცესში.
11. შეფასების თარიღს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი და აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს შეფასების განხორციელებამდე სულ მცირე 5 დღით ადრე.
12. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე, ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგ(ებ)ის/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის მიღწევის დამატებითი შეფასება.
13. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ამ მოდულზე სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი, ხოლო თუ მოდული არ იწყება ორ კვირაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულის დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი.
14. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წინაპირობიანი მოდულის დაწყების შემდგომაც, რომელზეც ის არ არის დაშვებული, მოითხოვოს იმ მოდულის განმეორებითი შეფასება, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. საჭიროების შემთხვევაში, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა.
15. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
16. მოდულის დასრულებამდე ან/და მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში განმეორებითი შეფასების თარიღს პროფესიული განათლების მასწავლებელი ზეპირსიტყვიერად ათანხმებს დირექციასთან და პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ განმეორებითი შეფასების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი მიმართავს კოლეჯს, რის შემდეგაც ინიშნება განმეორებითი შეფასება.
17. შეფასებისას ტესტის გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, მიზანშეწონილია განმეორებითი შეფასებისას უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები შეიცვალოს. სასურველია დახურული კითხვების მესამედი შეიცვალოს, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.
18. შეფასებისას პრაქტიკული დავალების ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გამოყენებისას, როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი.
19. სწავლის შედეგის ვერდადასტურება, რომელიც გამოწვეულია არგამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.
20. პროფესიული სტუდენტი, რომელიც განმეორებითაც ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, თავიდან გაივლის მოდულს ალტერნატიული ჯგუფების პროფესიულ სტუდენტებთან, ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ალტერნატიული ჯგუფების არარსებობისას.

21. შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, 3 სამუშაო დღის ვადაში.
22. შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მტკიცებულებებს, აღრიცხვის მიზნით გადასცემს საქმისწარმოებისა და რეესტრის სპეციალისტს, რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას.
23. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.
24. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.
25. უწყისები აღრიცხება უწყისების აღრიცხვის ელექტრონულ ჟურნალში.
26. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სხვადასხვა გზით მიიღოს კონსულტაცია როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე ადმინისტრაციისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.
27. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
28. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

მუხლი 12. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების წესი

1. საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია“-ის შესაბამისად.

2. დირექტორის მოადგილე პარტნიორ ორგანიზაციას/პრაქტიკის ობიექტს აცნობს საწარმოო პრაქტიკის პერიოდს, დღიურად სამუშაო საათების რაოდენობას და ათანხმებს სამუშაო ადგილზე მისაღები პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობას.
3. პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება, ან საწარმოს ინსტრუქტორი, რომელიც გამოყოფილია და ინსტრუქტორის გამოყოფის ვალდებულება რეგულირდება საწარმოსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით, ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწავლებას პროგრამის/მოდულის ჩანაწერების შესაბამისად.
4. დირექტორის მოადგილე ახორციელებს პროგრამის კოორდინატორთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწილებას ობიექტებზე.
5. დირექტორის მოადგილე და პროგრამის კოორდინატორი მართავენ სამუშაო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან პრაქტიკის დაწყებამდე და ახორციელებენ მათ ინფორმირებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ.
6. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ კეთდება ოფიციალური მიმართვა/წერილი, სადაც ასახულია პრაქტიკის ობიექტის დასახელება, პროგრამის დასახელება, პრაქტიკის ხანგრძლივობა, მოცულობა და ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სახელობითი სია.
7. სსსმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების პრაქტიკაზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით, კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.
8. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ინიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ორგანიზაციასთან გაფორმდეს ხელშეკრულება/მემორანდუმი.
9. პროფესიით დასაქმებული პროფესიული სტუდენტისთვის, რომელსაც თავის სამუშაო ობიექტზე სურს განაწილება, სამუშაო ადგილიდან ცნობის წარმოდგენის შემდეგ, კოლეჯი ვალდებულია პრაქტიკის განხორციელების მიზნით, მასთან გააფორმოს ხელშეკრულება/მემორანდუმი. ამის შემდეგ, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია გამოყოს პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომელიც განახორციელებს პროფესიული სტუდენტის შეფასებას მოდულის ჩანაწერების შესაბამისად.
10. პროფესიით დასაქმებული პროფესიული სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ცნობას სამუშაო ადგილიდან, მაგრამ დამსაქმებელი არ მოისურვებს პრაქტიკის განხორციელების მიზნით გააფორმოს კოლეჯთან მემორანდუმი/ხელშეკრულება, პროფესიით დასაქმებული პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გაიაროს საწარმოო პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი იმ დაწესებულებაში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი/ხელშეკრულება.
11. პრაქტიკის ობიექტზე, პროფესიული სტუდენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან კომპანიის მიერ შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ერთის მხრივ კომპანია, ხოლო მეორეს მხრივ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წერილობით ან ზეპირსიტყვიერად ინფორმაცია მიაწოდოს კოლეჯს.

თავი V – პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ტრენინგ- კურსების, ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი

მუხლი 13. კოლეჯის მიერ ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებისა და შეფასების წესი

1. კოლეჯი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კოლეჯის მიერ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რაც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამის, პროფესიული გადამზადების პროგრამის ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის დასრულების ფაქტს.
2. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების/ტრენინგ-კურსის მსმენელებთან და განმხორციელებლებთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კოლეჯის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 14. კოლეჯის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების, ტრენინგ-კურსების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შეფასების წესი

1. პროფესიული მომზადების პროგრამებში, პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
2. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც

ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას.

3. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში.
4. იმ პროფესიული მომზადების პროგრამაში/პროფესიული გადამზადების პროგრამაში ან/და ტრენინგ-კურსში, რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (პარტნიორ დაწესებულებაში/პრაქტიკის ობიექტზე) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.
5. მსმენელს, შეფასების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება შეფასების განხორციელებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.
6. შეფასების შედეგები მსმენელს ეცნობება იმავე დღეს.
7. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება 5 დღის ვადაში.
8. პროგრამის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება მიიჩნევა სწავლის შედეგის ვერდადასტურებად.
9. გასაჩივრების შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის ვადაში, მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დირექტორს, რომელიც საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განხილვის ან არგანხილვის თაობაზე.
10. წერილობითი განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
11. დირექტორის დავალებით მსმენელის ნაშრომის შეფასება დაევალება სხვა შემფასებელს, რომელიც ერთი დღის ვადაში ახდენს ნაშრომის განმეორებით შეფასებას.
12. გასაჩივრების დაკმაყოფილების და მსმენელის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, შემფასებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში.
13. შეფასების შედეგი მსმენელს ეცნობება იმავე სამუშაო დღეს.
14. კოლეჯი არაა ვალდებული შეინახოს შეფასების მტკიცებულებები.
15. უწყისები ინახება მუდმივად.
16. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების და ტრენინგ-კურსების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

თავი VI – პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა მიერ შეფასების გასაჩივრება

1. სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯს წარუდგინოს გასაჩივრების შესახებ წერილობითი განცხადება.
3. განცხადება უნდა მოიცავდეს განმცხადებლის ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, არგუმენტირებულ დასაბუთებასა და თარიღს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი საჩივარი არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
4. საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
5. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრებულია შეფასების პროცესთან/ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, საჩივარს განიხილავს დირექტორის მოადგილე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
6. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ, ხოლო პროფესიული სტუდენტის მიერ გასაჩივრებულია შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი მხარის შეფასება, დირექტორის მოადგილის დავალებით ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს წერილობითი საჩივრის წარდგენიდან იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს.
7. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა. მასწავლებელს შეუძლია ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ.
8. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის სახელზე.
9. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის განხილვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

თავი VII – სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

მუხლი 16. სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის/ მსმენელისთვის (სსსმ პირისთვის);
 - ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ);
 - გ) სტატუსადგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ);
 - დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას;
 - ე) პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს (საჭიროებისამებრ);
 - ვ) სხვა შემთხვევები.
5. სსსმ პირისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგნაირად:
 - ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით.
 - ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, დირექტორის მოადგილე შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ინსტრუქტორთან და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. პროფესიული სტუდენტის/

მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

გ) შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად.

დ) სსსმ პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშავდება/ ივსება.

ე) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია მიმართოს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს და სტრატეგიებს; გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ეფექტური სწავლება-სწავლის მეთოდი; პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; შეცვალოს პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო რესურსები; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

6. მობილობისას, სტატუსის აღდგენისას, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას, ან ფორსმაჟორული ვითარების დროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება შემდეგნაირად:

ა) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების შესაბამის/თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი და გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

ბ) სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს სასწავლო განრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუ პროფესიული სტუდენტის მიერ არ არის დადასტურებული ყველა სწავლის შედეგი, მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

გ) მობილობისას, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილ, დადასტურებულ სწავლის შედეგებს. შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

დ) ფორსმაჟორული ვითარების დროს, დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან ერთად აფასებს პროგრამის მიმდინარეობის შესაძლებლობას და შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, დირექტორის მოადგილე ამზადებს სამსახურებრივ ბარათს, სხვადასხვა ჯგუფებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს და შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რომლის დადებითად შეფასების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტ(ებ)ი წარედგინება კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. ფორსმაჟორული ვითარების დროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია გარკვეული პერიოდულობით იცვლებოდეს ან მუშავდებოდეს სხვადასხვა პერიოდისთვის, რაც განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

ე) პროფესიული სტუდენტი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არ გამოცხადდა შეფასებებზე და მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ სურს სასწავლო პროცესში ჩართვა, მიმართავს კოლეჯს განმეორებითი შეფასებ(ებ)ის მოთხოვნით. სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შემდეგ, დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ მოდულებს/სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს, რომელსაც წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

7. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტი/მსმენელი/ჯგუფი აგრძელებს სწავლას.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.

თავი VIII – პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტისა და სერტიფიკატის გაცემა

მუხლი 17. პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს ბარაკონის დირექტორის პრეროგატივას მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე.
2. პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება, გარდა საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის დროსაც აუცილებელია პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
3. საკვალიფიკაციო კომისია წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ კომისიას. ამავე აქტის საფუძველზე განისაზღვრება კომისიის საქმიანობის სფეროც.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, საკვალიფიკაციო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რომლის ჩაბარებაც პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამატებით იქმნება შესაბამისი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოლეჯის წარმომადგენლები, საწარმოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.
5. მუდმივმოქმედი საკვალიფიკაციო კომისია პროფესიულ სტუდენტათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის განხილვის შემდეგ, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებას (სხდომის ოქმს), პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი დონის/საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ან კვალიფიკაციის მინიჭების გადავადების შესახებ (ფინანსური დავალიანების არსებობის შემთხვევაში).
6. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
7. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა დაასრულოს პროგრამა დამატებით სასწავლო წელს.

მუხლი 18. საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება ის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს „საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისია“ (შემდგომში - კომისია).
3. კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობაში შედიან კოლეჯის წარმომადგენლები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დამსაქმებლები და საჭიროების შემთხვევაში სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობა არ არის 5 წევრზე ნაკლები.
4. კომისიის ფუნქციებში შედის: საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის შედგენა, გამოცდის შედეგების შეფასება/დადასტურება.
5. საგამოცდო პროგრამა უნდა მოიცავდეს: საგამოცდო საკითხებს, გამოცდის თარიღს, ინსტრუქტაჟს, გამოცდის ხანგრძლივობას.
6. საგამოცდო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
7. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.
8. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა, ან საპატიო, თუ არასაპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე, ერთხელ ეძლევა გადაბარების უფლება, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის ვადაში.
9. განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა ინიშნება 1 თვის ვადაში.
10. საკვალიფიკაციო გამოცდაზე ორჯერ უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 19. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა

1. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა შესაბამისი დონის/საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი დანართთან ერთად.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის სწავლის შედეგები გაიცემა სერთიფიკატი/ცნობა, დამლეული სწავლის შედეგების მითითებით.

3. პროფესიული მომზადების პროგრამის, პროფესიული გადამზადების პროგრამის და ტრენინგ-კურსის კურსდამთავრებულზე გაიცემა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის, ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.
4. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის და ტრენინგ-კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი გაიცემა შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ, სადაც ხელს აწერს დიპლომის/სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი პირი.